



რუსეთ-უკრაინის ომი და ევროკავშირის ქვეყნების ენერგოპოლიტიკა

ქრისტინა ქვარაია

მარი თინიკაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: kristina.kvaraia839@sps.tsu.ge

E-mail: mari.tinikashvili920@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

რუსეთის სამხედრო აგრესიას მეზობელ უკრაინაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული განზომილება გააჩნია. მიმდინარე სამხედრო კონფრონტაციამ შეცვალა ევროპის გეოპოლიტიკური სურათი და ძლიერი გავლენა მოახდინა ევროკავშირ-რუსეთის ურთერთობების რიგ ასპექტებზე, მათ შორის, ენერგო სფეროში. აქედან გამომდინარე დიდი აქტუალობა შეიძინა ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვის ეფექტების კვლევამ ევრობლოკის ენერგოპოლიტიკაზე. მოცემული ნაშრომის მიზანია სწორედ იმ ცვლილებების შესწავლა და გაანალიზება, რომლებიც გასული წლის თებერვლის შემდეგ განხორციელდა რუსეთისა და ევროკავშირის ენერგეტიკულ ურთიერთობებში; კვლევა აანალიზებს ყველა იმ ძირითად ნაბიჯს, რომლებიც გადაიდგა ბლოკის მხრიდან რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირების მიზნით; ამავე დროს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ბლოკის წევრ-სახელმწიფოთა მამოძრავებელ მოტივაციას მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების უკან და მეორე მხრივ, შეისწავლის იმ შედეგებს, რომლებიც ამ ნაბიჯებმა გამოიღო. ნაშრომის მიზნების შესაბამისად დასმულია საკვლევი კითხვა: როგორ შეიცვალა ევროპის ქვეყნების ენერგოპოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ? ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, სამაგიდო კვლევისა და პროცესების მიყოლის (process tracing method) მეთოდი. საკითხის უკეთ გასაანალიზებლად კი ჩვენ შესწავლილი მოვლენები ავსენით საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული მიდგომის ჭრილში. საბოლოოდ, კვლევამ ცხადყო, რომ 2022 წლის თებერვალში რუსეთის მხრიდან უკრაინაზე მიტანილი სამხედრო იერიში გახდა ევროკავშირისთვის საკუთარი ენერგოუსაფრთხოების დასაცავად აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის მიზეზი. მისმა წევრმა ქვეყნებმა უკრაინაზე თავდასხმა აღიქვეს თავიანთი უსაფრთხოების გარემოს შემლახველად და ეკონომიკური შეზღუდვების შემოღებით დიდი ძალისხმევა მიმართეს აგრესორის შესაჩერებლად, გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები რუსეთიდან ენერგორესურსების იმპორტის მკვეთრად და სწრაფად შესამცირებლად. მათ მიერ დაწესებული თითოეული შეზღუდვის მიზანი აგრესორის შემოსავლების შემცირება და მისთვის იმ პოლიტიკური ბერკეტის ხელიდან გამოცლაა, რომელსაც წლების განმავლობაში ევროპის ენერგოდამოკიდებულების შედეგად ფლობდა. დღეს ევროპა ალტერნატიული ენერგომარშრუტების მეშვეობითა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებაზე გადასვლით ცდილობს გათავისუფლდეს ამგვარი წნეხისგან.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი; ევროპის ენერგოპოლიტიკა; ეკონომიკური შეზღუდვები; REPowerEU Plan; ენერგოდივერსიფიკაცია.

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაცია შეიჭრა მეზობელ უკრაინაში და სამხედრო დაპირისპირებამ სრულმასშტაბიანი ომის სახე მიიღო. ეს მოვლენა მრავალი სხვადასხვა კუთხით აისახა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. მას მოჰყვა რუსეთთან დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების გადაფასება რიგი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. უკრაინა წარმოადგენს რა ევროპის ტერიტორიით ყველაზე დიდ ქვეყანას, მასზე რუსეთის თავდასხმამ შეარყია დანარჩენი ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტი და უბიძგა მათ მკაფიო საპასუხო რეაგირებისაკენ. აქ კი წინა პლანზე წამოიწია ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის საკითხმა. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ევროპას უნდა ეზრუნა საკუთარი ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებაზე ენერგოდივერსიფიკაციის გზით, თუმცა არც ერთი ევროპული ქვეყანა ამის გაკეთებას არ ჩქარობდა (Kuzemko et al., 2022). ისინი უფრო მეტად ეძებდნენ გზებს - როგორ მოეწესრიგებინათ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობები ისე, რომ საფრთხე არ შექმნოდა მათ ენერგომომარაგებას, ნაცვლად იმისა, რომ გადაედგათ ნაბიჯები რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად. 2022 წლის თებერვლის შემდეგ კი ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა - ევროპამ ერთბაშად გაიაზრა რეალურად რა საფრთხეს შეიძლება ელოდეს რუსეთისგან და მთელ ამ პროცესში რა „კომბირი“ შეიძლება იყოს კრემლისათვის ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება (Osička, & Černoch, 2022). ეს ნიშნავს, რომ დადგა ახალი ხანა ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკულ ურთიერთობებში. მაშინ როცა ათწლეულების განმავლობაში რუსეთი ევროპის ენერგოდამოკიდებულებას მძლავრ ბერკეტად იყენებდა პოლიტიკური და უსაფრთხოების მიზნებით, ახლა გვაქვს შეცვლილი სურათი, რაც ვფიქრობთ, რომ უდავოდ იმსახურებს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებისა და სტუდენტების ყურადღებას. თემის აქტუალობიდან და საკითხისადმი ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის ფარგლებში ჩვენს საკვლევ პრობლემას სწორედ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ პოლიტიკაში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომი ცვლილებები წარმოადგენს.

ლიტერატურის მიმოხილვა:

2022 წლის თებერვლიდან მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები მრავალმხრივ იპყრობს სფეროს მკვლევართა და ანალიტიკოსთა ყურადღებას. რუსეთის უკრაინაში შეჭრამ დღეს ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტი ისე შეარყია, როგორც არასდროს. პოლიტიკურ და სამხედრო გამონწვევებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ომის შესაძლო ეკონომიკურმა ეფექტებმა. სერიოზული საფრთხის წინაშე დამდგარი ევროპის ენერგოუსაფრთხოება დარგის სპეციალისტების კვლევის აქტუალური საგანია. ჩვენ კი საკითხის ღრმად გასაანალიზებლად, პირველ ყოვლისა, გვმართებს მიმოვიხილოთ თემის ირგვლივ უკვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

დავინწყოთ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ანალიტიკოსის მამუკა კომახიას პუბლიკაციის მიმოხილვით. გასულ წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში:

„რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა გლობალურ ენერგოპოლიტიკაზე“ ბატონი მამუკა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კრემლის სამხედრო აგრესია უკრაინაზე აუცილებლად იქონიებს მკაფიო ეფექტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებულ ენერგეტიკულ პოლიტიკაზე. მისი თქმით, მართალია ომამდე ევროპის დამოკიდებულება რუსეთის ენერგო რესურსებზე იმდენად მაღალი იყო, რომ მისი დაბალ ნიშნულზე დაყვანა ერთბაშად რთულად წარმოსადგენია, მაგრამ ევროპისათვის ენერგომომარაგების ალტერნატიულ მარშრუტებზე (მაგ.: „სამხრეთის ენერგოდერეფანი“) ზრუნვა და განახლებადი ენერგორესურსების (მაგ.: ბიომეთანის) წარმოების ზრდა სავსებით რეალურია. ავტორი განიხილავს ევროკავშირის მიერ რუსეთისათვის დაწესებული სანქციების მე-5 და მე-6 პაკეტებს, რომელთა მიხედვითაც რუსეთიდან ქვანახშირისა და ნედლი ნავთობის შესყიდვა იკრძალება. კომახია ყურადღებას ასევე ამახვილებს საერთაშორისო ენერგოკომპანიების რუსული ბაზრიდან გამოსვლაზე და მიუთითებს ევროკომისიის მიერ რუსული წიაღისეული სანჯავის მოხმარების დოზის სწრაფი შემცირების მიზნით შემუშავებული გეგმის: „REPowerEU Plan“ მნიშვნელობაზე. ანალიტიკოსის აზრით, ევროკავშირი თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში დიდ და შეუვსებელ ეკონომიკურ ზარალს მიაყენებს რუსეთის ფედერაციას, რითაც მასზე პოლიტიკური ზეგავლენის შესაძლებლობას შექმნის. თუმცა, მისი შეფასებით ევროპა რუსულ გაზს ისე მარტივად ვერ ჩაანაცვლებს, როგორც ეს შეუძლია გააკეთოს თუნდაც ნედლი ნავთობის შემთხვევაში (კომახია, 2022).

რონდელის ფონდის კიდევ ერთი მკვლევარი დავით შატაკიშვილი თავის პუბლიკაციაში: „რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის ეკონომიკაზე“ წერს, რომ რუსეთის აგრესიამ ევროპის ენერგოსაფრთხოება სერიოზულად დააზიანა. იგი აქცენტირებს ევროგაერთიანების მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემუშავებული ეკონომიკური სანქციების 7 პაკეტზე, რომელთაგან არც ერთი ბუნებრივი აირის იმპორტს არ შეხებია. მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებმა შეზღუდეს ნედლი ნავთობისა და ქვანახშირის რუსეთისგან შესყიდვა, ბუნებრივი აირის შემთხვევაში იგივე ვერ მოხერხდა და ეს უკანასკნელი ისევ დარჩა კრემლის ხელში უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტად. შატაკიშვილი აანალიზებს ფაქტს, თუ როგორ სცადა ამ ბერკეტის გამოყენება მოსკოვმა, როცა რუსულმა კომპანია „გაზპრომმა“ ევროპის ქვეყნებს ომის მიმართ მათი პოზიციის გამო შეუმცირა ან სრულად შეუწყვიტა გაზის მიწოდება. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპა გაზმომარაგების 40%-ს რუსეთისაგან იღებდა „გაზპრომის“ ეს ქმედება მისთვის მტკივნეული უნდა ყოფილიყო, თუმცა ევროკავშირმა საპასუხოდ ბუნებრივი აირის მოხმარება 15%-ით შეამცირა. „ეს ნაბიჯი ევროპის მხრიდან შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც სიგნალი, რომ იგი არ მოეცემა რუსული წნეხის ქვეშ და რეზერვების შევსების სანაცვლოდ არ აპირებს სანქციების უკან წაღებასა და უკრაინის სამხედრო შეიარაღებით დახმარების შეწყვეტას“ - წერს აღნიშნულთან დაკავშირებით ბატონი დავითი (შატაკიშვილი, 2022 გვ. 9-10).

რაც შეეხება უცხოურ ლიტერატურას, ქეროლაინ კუბემკო და სხვები თავიანთ ნაშრომში: „Russia's war on Ukraine, European energy policy responses & implications for sustainable transformations“ წერენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა ენერგოპოლიტიკა ისევ გახადა საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრის

მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. მათი თქმით, ომმა მტკივნეულად დააყენა ევროპის წინაშე თავის გეოპოლიტიკურ მონინალმდეგეზე ენერგოდამოკიდებულების საკითხი. ავტორები ყურადღების გარეშე არ ტოვებენ ფაქტს, რომ 2014 წელს უკრაინაში შექმნილი კრიზისის დროს ევროპას სათანადო ნაბიჯები არ გადაუდგამს არსებული ენერგოდამოკიდებულების შესარბილებლად, ხოლო დღეს მათ მიერ შემუშავებული გეგმები ბევრად უფრო მკაცრი და მკაფიო მესიჯების მატარებელია. ნაშრომში გაანალიზებულია REPowerEU Plan, როგორც რუსული წიალისეული სანგავის მოხმარების სწრაფი შემცირების გეგმა და ნათქვამია, რომ ევროპის ენერგოპოლიტიკის ამ არსებითად ახალი ნაწილით ცალსახად გაძლიერდება ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოება (Kuzemko et al., 2022)

ლინბიაო ქუისა და მისი თანაავტორების სტატიაშიც „Exploring the risk and economic vulnerability of global energy supply chain interruption in the context of Russo-Ukrainian war“ განხილულია რუსეთ-უკრაინის ომის ძლიერი ზეგავლენა გლობალურ ენერგოპოლიტიკაზე. მკვლევრები საუბრობენ ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების მკვეთრ ზრდასა და ამ რესურსების მიწოდების გლობალურ შემცირებაზე რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ. ნაშრომში ევროპის მიერ დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვები და რუსული ენერგო რესურსების მოხმარების შემცირების გადანყვეტილება წარმოჩენილია, როგორც რუსეთზე ზეწოლის მოხდენის საკმაოდ წარმატებული საშუალება (Cui et al., 2023).

ამგვარად, ქართველი და უცხოელი მკვლევრები ერთნაირად აფასებენ იმ გავლენას, რომელსაც რუსეთის უკრაინაში შეჭრა ახდენს გლობალურ და, მათ შორის, ევროპის ენერგოპოლიტიკაზე. ისინი აანალიზებენ ევროკავშირის მიერ შემუშავებულ ეკონომიკურ სანქციებს, ხაზს უსვამენ REPowerEU Plan-ს მნიშვნელობას და მკაფიოდ წარმოაჩენენ ალტერნატიული ენერგომომარაგების წყაროებზე ზრუნვის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ბენეფიტებსაც.

მეთოდოლოგია:

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ძირითადად დავეყრდენით თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას: გამოვიყენეთ პირველადი წყაროები ევროკომისიის განცხადებებისა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების სახით; გავაანალიზეთ მეორეული და მესამეული წყაროები - არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ანალიტიკური დოკუმენტები, კვლევები და პუბლიკაციები. დავეყრდენით ლიტერატურის დამუშავების სამაგიდო (desk research) ხერხს და პროცესების სისტემური მიკვლევის მეთოდს (process tracing method).

გარდა ამისა, საკითხი განვიხილეთ შესაბამის თეორიულ ჭრილში. ამ შემთხვევაში ავარჩიეთ სოციალური კონსტრუქტივიზმი და საერთაშორისო ურთიერთობების ამ მიდგომის ძირითადი პოსტულატების მეშვეობით ავხსენით საკითხთან დაკავშირებული რიგი მოვლენები, რამაც მოგვცა საშუალება მიგვეღწია კვლევის მიზნებისათვის.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის გავლენა ევროპის ენერგოპოლიტიკაზე

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ევროპის ენერგოუსაფრთხოება ცენტრალურ საკითხად აქცია. კრემლმა ბუნებრივი აირი მისი მიწოდების შეწყვეტის საფრთხის გათვალისწინებით გახადა პოლიტიკური იარაღი და ახლა ევროპა ცდილობს იმუშაოს იმაზე, რომ რუსეთს აღარ ჰქონდეს ამ ყველაფრით მანიპულირების შესაძლებლობა. თუ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ან 2014 წლის ყირიმის ანექსიისას ევროპას არ უგრძნია საჭიროება, რომ რუსეთთან მისი ეკონომიკური ურთიერთობების დაახლოების პოლიტიკა გადახედვას საჭიროებდა, 2022 წლის მოვლენების შემდეგ ევრობლოკი გამალებით იბრძვის მისივე ენერგოუსაფრთხოების დასაცავად რელევანტური სტრატეგიის შემუშავებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ წლების განმავლობაში ევროპა თავისი გაზომარაგების დაახლოებით 40%-ს¹, ხოლო ნავთობმარაგების 25%-ს რუსეთიდან იღებდა², მისთვის არაა ადვილი არასასურველი რეალობის სწრაფად შეცვლა. ამას ემატება კიდევ ერთი გამონწვევა - ენერგოპოლიტიკას არ შეეწიროს ევროკავშირის მიერ კლიმატურ პრობლემებთან დაკავშირებით დასახული გეგმები³ და მიღწეული შეთანხმებები (Surwillo & Slakaityte, 2022).

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ისეთმა სახელმწიფოებმაც კი, რომლებიც ახალი ენერგოსადენების მშენებლობით მუდმივად ავითარებდნენ თავიანთ ურთიერთობას რუსეთთან (მაგ.: გერმანია), 2022 წლიდან იწყეს ამ პოლიტიკის გადახედვა. ყველასათვის საკმაოდ მოულოდნელი იყო 22 თებერვალს გერმანიის ახალი კანცლერის ოლაფ შოლცის განცხადების საფუძველზე ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პროექტის განხორციელების შეჩერება. ამ ნაბიჯით გამოიხატა ევროპის რეაქცია პუტინის განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, რუსეთი აღიარებდა უკრაინის ორ სეპარატისტულ რეგიონს - დონეცკსა და ლუჰანსკს - დამოუკიდებელ რესპუბლიკებად (Marsh & Chambers, 2022).

თუმცა რუსეთი ამან ვერ შეაჩერა, მან ზუსტად ორ დღეში უკრაინაზე სამხედრო იერიში მიიტანა და ვერც ევროპამ აირიდა თავიდან საკუთარი ენერგოუსაფრთხოების სერიოზული შერყევა. გარდა ენერგომიწოდების საკითხით რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ ნიადაგზე მანიპულირებისა, ევროპის ენერგომომარაგება საფრთხის ქვეშ დააყენა იმანაც, რომ რუსეთი თავს დაესხა ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ევროპისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ენერგოგამტარი იყო⁴. შედეგად ნავთობისა და გაზის მიწოდება შეფერხდა და ენერგორესურსებზე ფასები გაიზარდა (Osička, 2022). მოცემულობას ევროკავშირის ქვეყნებში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პასუხი მოჰყვა. ქვეყნების ერთი ჯგუფი შეუდგა შიდა რეზერვების მოძიებას კრიზისის გადასალახად და ქვანახშირის მარაგების გადამუშავებას

¹ დანართი 1 - დიაგრამა: რუსეთისა და სხვა ქვეყნების წილი ევროკავშირის გაზის მთლიან იმპორტში 2022 წლის ომამდე

² დანართი 2 - დიაგრამა: რუსული ნავთობის წილი ევროკავშირის მიერ იმპორტირებული ნავთობის მთლიან მოცულობაში 2010-2021 წწ.

³ 2050 წლისთვის ევროპა მიზნად ისახავს გახდეს მსოფლიოში პირველი კლიმატ-ნეიტრალური (climate-neutral) კონტინენტი და კლიმატისადმი მდგრადი საზოგადოება. გეგმა ითვალისწინებს სათბურის გაზების გამონაბოლქვის შემცირებას მინიმუმ 55%-ით 2023 წლისათვის. ევროკავშირი ასევე იღებს ზომებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაციისთვის.

⁴ დანართი 3: რუკა - რუსული გაზის ევროპისაკენ გამტარი მარშრუტები და მათი გამტარუნარიანობა

მიჰყო ხელი. ასეთი იყო გერმანიის, ჩეხეთის, ავსტრიის, ნიდერლანდების არჩეული გზა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა კლიმატთან დაკავშირებულ ამბიციებს, ამ ქვეყნებმა განაცხადეს, რომ მათი ქმედებები მხოლოდ მოკლევადიანი გადახვევა იყო კლიმატთან დაკავშირებით დასახული გეგმისაკენ მიმავალი გზიდან და ის არ გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგებს. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი კი, უფრო ერთგული დარჩა დეკარბონიზაციის მიზნებისადმი და თავისი ძალისხმევა მიმართა განახლებადი ენერჯის წყაროების გაორმაგებაზე, ენერგოეფექტურობის გაზრდასა და სხვა ღონისძიებებზე, რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ წიაღისეული საწვავის წილი ევროკავშირის ენერჯეტიკაში (Misik & Nosko, 2023).

ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ბუნებრივი აირის შესყიდვაზე მიმწოდებლებთან მოლაპარაკებებს ორგანიზაციის მხრიდან ევროკომისია გამართავს, რაც ნიშნავს, რომ რუსეთს აღარ ექნება შესაძლებლობა ენერგორესურსებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში ისარგებლოს სიტუაციით, როცა ევროკავშირის ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას უპირისპირდება - ევროკომისიის გადაწყვეტილებები იქნება მთლიანად ევროკავშირის პოზიციის გამოხატველი. ორგანიზაციამ ასევე განაცხადა ახალი ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც იქნება დამხმარე მექანიზმი ენერგორესურსებზე ფასების ზრდით მიღებული ხარჯების კომპენსირებისათვის (Ozawa, 2022).

რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად მიღებული ზომები

ასეთ სიტუაციაში საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ევროკავშირი აღარ აპირებდა წარსულის მსგავსად რუსეთისათვის ენერგორესურსებით პოლიტიკური მანიპულირების საშუალების მიცემას. დამდგარი საჭიროებიდან გამომდინარე 2022 წლის მარტში საერთაშორისო ენერჯეტიკულმა სააგენტომ (IEA) ჩამოაყალიბა 10 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა ევროკავშირის რუსულ გაზზე დამოკიდებულების 1/3-ით შესამცირებლად 2022 წლის ბოლოსათვის. გეგმის პუნქტები შემდეგნაირია: 1. რუსეთთან გაზის მიწოდების რაიმე ახალი შეთანხმებისათვის ხელის არ მონერა; 2. რუსული გაზის მიწოდების ალტერნატიული (არარუსული) წყაროებით ჩანაცვლება; 3. გაზის დაზოგვის მინიმალური ვალდებულებების შემოღება; 4. ქარისა და მზის ენერჯის გამოყენებაზე გადასვლის დაჩქარება; 5. ბიო და ბირთვული ენერჯიდან საწვავის გამომუშავების მაქსიმალურად გაზრდა; 6. ელექტროენერჯის მომხმარებლების დაცვა მაღალი ფასებისგან მსხვილ მოგებაზე მოკლევადიანი საგადამხდელო ზომების შემოღებით; 7. გაზის გამაცხელებელი ქვაბების სითბოს ტუმბოებით ჩანაცვლების პროცესის დაჩქარება; 8. შენობებსა და ინდუსტრიულ ქარხნებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების დაჩქარება; 9. მომხმარებლების მიერ გათბობის 1 °C-ით დროებითად შემცირების წახალისება; 10. ძალისხმევის გაძლიერება ენერგო სისტემის წყაროების დივერსიფიკაციისა და დეკარბონიზაციისთვის. აღსანიშნავია, რომ 10-პუნქტიანი გეგმა შეესაბამება ევროკავშირის კლიმატთან დაკავშირებულ ამბიციებს და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - მთლიანად გამორიცხავს რუსული გაზის იმპორტის საჭიროებას 2030 წლისთვის (IEA, 2022).

2022 წლის ივლისში ევროკომისიამაც წარუდგინა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს გეგმა სახელწოდებით „Save Gas for a Safe Winter“, რომელიც გულისხმობდა ევროკავშირის ქვეყნების მიერ შესაბამისი საკანონმდებლო ინსტრუმენტის გამოყენებით გაზის მოხმარების შემცირებას 15%-ით 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის 31 მარტამდე პერიოდში. ევროკომისიამ ამ პროცესის სახელმძღვანელოდ ასევე წამოაყენა „გაზის მოთხოვნის შემცირების ევროპული გეგმა.“ ეს უკანასკნელი ასახავს ზომებს, პრინციპებსა და კრიტერიუმებს გაზის მოთხოვნის კოორდინირებული შემცირებისთვის და ყურადღებას ამახვილებს გაზის სხვა სანვავებით ჩანაცვლებაზე ისევე, როგორც ზოგადად ენერჯის დაზოგვაზე ყველა სექტორში. თუმცა, საჭიროებიდან გამომდინარე, გეგმა ამავდროულად მოიაზრებს უზრუნველყოფის ბუნებრივი არის შეუფერხებელი მინოდება საავადმყოფოებისთვის, შინა მეურნეობებისთვის და ასევე იმ ინდუსტრიებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ევროკავშირის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და მინოდების ჯაჭვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პროდუქციასა და მომსახურებას. ამრიგად, იგი მოიცავს მითითებებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ბუნებრივი აირის მოხმარების შემცირების პროცესში (European Commission, 2022).

ევროკავშირმა ასევე შეიმუშავა “REPowerEU Plan”, რომელიც მიზნად ისახავს მთლიანად აღმოფხვრას მისი წევრების დამოკიდებულება რუსულ წიაღისეულ სანვავზე 2027 წლისათვის. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო 2022 წლის ბოლომდე რუსული გაზის მოხმარების 2/3-ით შემცირება, რაც წარმატებით განხორციელდა. უნდა ითქვას, რომ “REPowerEU Plan” ასევე შეესაბამება ფართო ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ხელი შეეშალოს რუსეთის ომს უკრაინაში ძირითადი შემოსავლების ნაკადების შეწყვეტის გზით, მათ შორის, ნახშირზე და საბანკო სექტორზე არსებული სანქციების ჩათვლით. გეგმა მოიცავს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ზომების მიღებას და IEA-ის 10 პუნქტიანი გეგმის მსგავსად, ისიც გულისხმობს ენერგორესურსებზე ევროპული ქვეყნების მოთხოვნის შემცირებას, მიმწოდებლების დივერსიფიკაციასა და განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლის დაჩქარებას (Conti & Kneebone, 2022).

მეტი სიხადისთვის შეგვიძლია „REPowerEU Plan“-ის სამი ძირითადი მიმართულება გამოვყოთ: 1. ენერჯის დაზოგვა; 2. სუფთა ენერჯის წარმოება; 3. ენერგომინოდების წყაროთა დივერსიფიკირება.

ენერჯის დაზოგვა ჩამოთვლილთაგან ყველაზე მარტივი მექანიზმია, რომელიც გულისხმობს ენერგორესურსების მოხმარების შემცირებას ევროკავშირის მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის მხრიდან. ენერგოეფექტური ტექნიკის მოხმარება, გათბობის ტემპერატურის მცირედით დაწევა, კონდიციონერების ნაკლებად გამოყენება, ზედმეტი განათების გამორთვა და ა.შ. არის ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმისკენაც ევროკომისიამ მოქალაქეებს მოუწოდა (European Commission, 2023).

სუფთა ენერჯის წარმოება მოიაზრებს ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის ჩანაცვლებას განახლებადი ენერჯის წყაროებით (მზე, ქარი). განახლებადი წყაროები ყველაზე იაფი და სუფთა ენერჯის წყაროებია, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მოხმარებელი ქვეყნების შიგნით, რაც შესაბამისად

ამცირებს მათი მხრიდან ენერგორესურსების იმპორტის საჭიროებას (ibid). ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ევროკომისიამ ჯერ კიდევ 2019 წელს, რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიან ომამდე, წამოაყენა ევროპული მწვანე შეთანხმება (European Green Deal)⁵, რომლის მიზანია ევროკავშირი 2050 წლისათვის გახდეს სრულად კლიმატნიეტრალური, ანუ ნახშირბადის გამონაბოლქვი ბლოკის წევრ ქვეყნებში გაუტოლდეს წმინდა ნულს. ხოლო უფრო მოკლევადიან პერსპექტივაში შეთანხმება ითვალისწინებს გამონაბოლქვის 50-55%-ით შემცირებას 2030 წლისათვის (Harvey & Rankin, 2020). მნიშვნელოვანია, რომ 2023 წლის მარტში ევროკავშირმა უფრო გაამკაცრა კანონმდებლობა განახლებად ენერჯიაზე გადასვლის დასაჩქარებლად - განახლებადი ენერჯიის წილი, რომელსაც ბლოკმა 2030 წლისთვის უნდა მიაღწიოს, განისაზღვრა 42,5%-ით, 45%-ის მიღწევის ამბიციით, რაც ნიშნავს რომ დეკადის დასასრულისათვის ევროპამ განახლებადი ენერჯიის გამოყენების წილი უნდა გააორმაგოს (European Commission, 2023).

რაც შეეხება ენერგორესურსების მომწოდებელ წყაროთა დივერსიფიკირებას, ამ მიმართულებით ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაძლებლობის ზღვარს მიაღწია ნორვეგიიდან გაზის იმპორტირების მაჩვენებელმა (Surwillo & Slakaityte, 2022). ასევე გაიზარდა თანამშრომლობის ტენდენციები აზერბაიჯანთან და სამხრეთის ენერჯო დერეფანს⁶, რომლითაც ხდება კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების ტრანსპორტირება ევროპამდე, სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა. ასევე იმატა თხევადი ბუნებრივი აირის (LNG gas) შესყიდვამ აშშ-დან და კანადიდან. თუმცა REPowerEU Plan-ი ყურადღების მიღმა არ ტოვებს სხვა ალტერნატიულ მარშრუტებსაც; ევროკომისიის გეგმაში საუბარია პოლიტიკურ შეთანხმებებზე ევკავტესთან და ისრაელთან მათი მხრიდან თხევადი გაზის მიწოდების გაზრდის მიზნით. ამ მხრივ თანამშრომლობის გაღრმავება ასევე განიხილება ალჟირთან, ყატართან, ავსტრალიასთან, იაპონიასთან, ჩინეთთან და კორეასთანაც. დოკუმენტში აღნიშნულია სუბსაჰარის აფრიკის ქვეყნების (ნიგერია, სენეგალი და ანგოლა) საექსპორტო პოტენციალის გამოკვლევის საჭიროებაც (European Commission, 2023).

მსგავსი გეგმების შემუშავების კვალდაკვალ 2022 წლის დეკემბერში ევროკავშირი რთული მოლაპარაკებების პროცესის შედეგად ასევე მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ რუსული ნავთობისათვის ემბარგო დაეწესებინა (მანამდე, კერძოდ, აგვისტოში ემბარგო ევროკავშირმა რუსულ ნახშირზეც დააწესა). უფრო კონკრეტულად, ემბარგოს თანახმად, 5 დეკემბრიდან აიკრძალა რუსული ნავთობის გადმოტვირთვა ევროკავშირის პორტებში. მართალია, ეს სანქცია ეხება მხოლოდ ზღვით გადაზიდულ ნავთობს, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვნად ამცირებს აგრესორი ქვეყნის შემოსავლებს, ვინაიდან ევროპაში მოხმარებული რუსული გაზის 2/3 სწორედ ზღვით შედიოდა. ამასთან აღნიშნულ

⁵ European Green Deal - ე.წ. ევროპის მწვანე შეთანხმება, რომელზე მუშაობაც ევროკავშირმა 2019 წელს დაიწყო, ასახავს ევროპის კლიმატნიეტრალურობასთან დაკავშირებულ ძირითად გეგმებს.

⁶ სამხრეთის ენერჯო დერეფანი შედგება სამი პროექტისგან: სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, ტრანსანატოლიური მილსადენი (TANAP) და ტრანსატლანტიკური (TAP) მილსადენი. ამ მარშრუტით აზერბაიჯანული გაზი ჩადის იტალიამდე და ვრცელდება დანარჩენ ევროპაშიც. (იხ. დანართი 4)

აკრძალვას შეუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, აშშ და იაპონიაც, შესაბამისად, საუბარია რუსული ნავთობექსპორტიორების სერიოზულ ზარალზე (David, 2022). გარდა ამისა, ემბარგოს თანახმად ფასსზე დაწესებული ლიმიტი ევროკავშირისა და G7-ის ქვეყნების მიერ, რაც გულისხმობს რომ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ომის დაწყების შემდეგ კვლავ აქტიურად მოიხმარენ რუსულ ნავთობს (ჩინეთი და ინდოეთი), გააგრძელებენ აღნიშნული პროდუქციის იმპორტს იმ პირობით, რომ ერთ ბარელში 60 დოლარზე მეტს არ გადაიხდიან (Horowitz, 2022).

გატარებული პოლიტიკის შედეგები

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ევროკავშირის მიერ გატარებული ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგად 2022 წელს ნევრი ქვეყნების მოთხოვნა ბუნებრივ აირზე 55 მილიარდი ბარელით ანუ 13%-ით შემცირდა. მართალია, ამ სტატისტიკაში თავისი წვლილი თბილმა ზამთარმაც შეიტანა, მაგრამ ფაქტია, ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგი გამოიღო და დათქმირდა ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ვარდნა გაზზე მოთხოვნის მაჩვენებელში. პროცენტულად ყველაზე მეტად მოთხოვნა შემცირდა ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ეს შეეხო ბუნებრივი აირის გამოყენებას როგორც მრეწველობაში, ისე საყოფაცხოვრებო საქმიანობაში (Zeniewski et al., 2023). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ ბაზარზე გაზზე მოთხოვნის მკვეთრი კლების მიუხედავად, ევროკავშირის მიერ გაზის იმპორტზე დახარჯული თანხა 2022 წელს მიუახლოვდა 400 მილიარდ ევროს, რაც სამჯერ აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. ასევე მართალია, რუსეთის წილი ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებაში 2021 წელს არსებული 39%-დან 2022 წლის ბოლოსთვის 12%-მდე დაეცა⁷ (Simeonova, 2023), მაგრამ ფასების მკვეთრმა ზრდამ მაინც უზრუნველყო მოსკოვისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი 2022 წლის განმავლობაში. თუმცა მოგვიანებით, როცა ფასები დაეცა, ბუნებრივი აირის გაყიდვიდან შემოსავალი რუსეთისთვის 2023 წლის პირველ ორ თვეში 40%-ით შემცირდა 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (Zeniewski et al., 2023).

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმასაც, რომ რუსეთმა ფაქტობრივად დაკარგა ევროპული ბაზარი საკუთარი გაზის იმპორტირებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ მილსადენით მიწოდებული ბუნებრივი აირის შემთხვევაშია ასე. ევრობლოკის სანქციები დღემდე არ შეხებია თხევადი სახით მიწოდებულ გაზს (LNG) და ამ ნაწილში რუსეთი ამ დრომდე რჩება ევროპის მთავარ მომმარაგებლად. მეტიც, 2022 წელს, ომის დაწყების შემდეგ რუსეთიდან LNG-ის იმპორტი 20%-ით გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია (Meduza, 2023). „ევროსტატის“ მონაცემებით, ევროპის თხევადი გაზის იმპორტის მთლიან მაჩვენებელში პირველ ადგილს 40%-იანი წილით აშშ იკავებს, მას კი მოსდევს რუსეთი და ყატარი და ორივე მათგანის წილი დაახლოებით 13-13%-ს შეადგენს. ევროკავშირში რუსულ გაზზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, ექსპერტები ამბობენ, რომ ევრობლოკი ახლო მომავალში ვერ შეძლებს მთლიანად უარი თქვას რუსულ გაზზე, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ევროპის

⁷ დანართი 5: ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიწოდებელი ქვეყნების წილის ცვლილება გაზის მთლიან იმპორტში

ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ უშუალოდ დამოკიდებულია რუსულ წიაღისეულზე, განსაკუთრებით კი ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნები (აქ საუბარია მილსადენებით მიწოდებულ გაზზე, ვინაიდან არასაზღვაო ქვეყნებისათვის უფრო რთულია ტანკერებით გადაზიდული თხევადი გაზის მიღება) და მეორე, რუსული გაზი შედარებით იაფია, რის გამოც ევროპის გარკვეული ქვეყნები ვერ თმობენ მას (Simeonova, 2023).

რაც შეეხება უშუალოდ თხევად გაზს, ევროკავშირში რუსული თხევადი გაზის ყველაზე დიდი მომხმარებლები არიან ესპანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, პორტუგალია და საბერძნეთი. ეს ქვეყნები მათ პორტებში შემოსული ტანკეტებით მიღებულ LNG-ის ასევე უნაწილებენ სხვა ევროპულ ქვეყნებსაც, ამიტომ ბლოკისთვის საკმაოდ რთულია ერთბაშად უარი თქვას ყველა სახის რუსულ წიაღისეულზე. შესაბამისად, ექსპერტების ვარაუდს იზიარებს თავად ევროკომისიაც და ადასტურებს, რომ უახლოეს მომავალში ბლოკი ვერ შეძლებს მთლიანად აღკვეთოს რუსული გაზის მოხმარება, თუმცა ეს მიზანი შერულებადია საშუალოვადიან პერსპექტივაში, როგორც ამას REPowerEU plan ითვალისწინებს (Meduza, 2023).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან ენერგეტიკულ ურთიერთობებში, გარდა ეკონომიკურისა, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორებიც. ევრობლოკის რიგი ქვეყნების დამოკიდებულება რუსეთთან ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება და ეს აისახება მათ ენერგოურთიერთობებშიც. იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ რუსულ მილსადენით მიწოდებულ გაზზე დამოკიდებულებით გამოირჩევიან (უნგრეთი, სლოვაკეთი, სერბეთი, ავსტრია) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნგრეთის ქეისი. ექსპერტები შენიშნავენ, რომ ორბანის მთავრობა ცდილობს შედარებით ახლო კავშირის შენარჩუნებას რუსეთთან და მის ლიდერთან, ვინაიდან მისთვის ეს კავშირი პოლიტიკურად მიზანშეწონილია, რამეთუ შეუძლია გამოიყენოს, როგორც ინსტრუმენტი და ვაჭრობის საშუალება ევროკავშირსა და რუსეთს შორის „თამაშებში“. უნგრეთმა, რომელიც რუსეთის ყველაზე დიდ მოკავშირედ აღიქმებოდა ევროკავშირში, 2021 წელს გაათორმა 15 წლიანი კონტრაქტი გაზპრომთან, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურად 4.5 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას რუსეთიდან უნგრეთში, თუქსტრამისა (Turkstream) და უკრაინაზე გამავლი მილსადენების მეშვეობით. 2022 წელს ომის დაწყების შემდეგ კი მხარეებს შორის გათორმდა ხელახალი კონტრაქტი გაზის დამატებითი მოცულობის მისაწოდებლად (Simeonova, 2023).

სწორედ ასეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გამო ევრობლოკში ერთიანი პოზიციის არარსებობის შედეგად ვერ მოხერხდა რუსული გაზის ინდუსტრიისთვის სანქციების დაწესება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროპულ კომისიასა და ევროპარლამენტში რუსული ბუნებრივი აირის იმპორტზე აკრძალვის მოთხოვნები სულ უფრო ხშირად ისმის. ამასთან ერთიანი ემბარგოს ან რაიმე სხვა სახის აკრძალვის არ არსებობის პირობებში, ცალკეულმა ქვეყნებმა თავიანთი ინიციატივით დაიწყეს რუსეთიდან LNG-ის შესყიდვის აკრძალვა, მაგალითად ლიეტუვამ და პოლონეთმა ეს ნაბიჯი უკვე გადადგეს და მათ მალე შეუერთდებიან სხვა ქვეყნებიც, მათ შორის, გერმანია და ნიდერლანდები (Meduza, 2023).

რაც შეეხება ნავთობს, ევროპის ენერგოპოლიტიკა ამ შემთხვევაში უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა. 2022 წლის ბოლოს რუსული ნავთობის წილი ევროკავშირის მიერ იმპორტირებული ნედლი ნავთობის მთლიან მოცულობაში მხოლოდ 4% იყო, რაც ნიშნავს, რომ ბლოკმა აგრესორის ნავთობზე დამოკიდებულება აღმოფხვრა. მისი უმსხვილესი მიმწოდებლები შვედეთელი შტატები, ნორვეგია და ყაზახეთი გახდნენ, გაიზარდა ირანიდან, საუდის არაბეთიდან, ლიბიიდან და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული ნავთობის წილიც⁸ (Cooban, 2023).

თეორიული ჩარჩო

საკითხის ახსნა შესაბამის თეორიულ ჭრილში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის უკეთესად გაანალიზებაში. ამ შემთხვევაში ჩვენ შევარჩიეთ საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც რეალიზმისა და ლიბერალიზმის მეინსტრიმული თეორიების გვერდით ღირსეულ ადგილს იკავებს. კონსტრუქტივიზმის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა კანტის, ლოკის, დიურკემისა და ვებერის შრომებმა. თეორიული მიდგომა სახელმწიფო აქტორების გვერდით სათანადო ყურადღებას უთმობს არასახელმწიფო აქტორებსაც, მათ შორის, ევროკავშირის მსგავს რეგიონულ ორგანიზაციებს. კონსტრუქტივიზმის აპოლოგეტები საერთაშორისო სტრუქტურას სოციალურ სტრუქტურად სახავენ, რომელიც ეყრდნობა აქტორთა იდეებს, ნორმებს, წესებს, აღქმებსა და ფასეულობებს. მათი ძირითადი პოსტულატი გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების აგენტები სოციალური მოთამაშეები არიან; მათი იდენტობები და ინტერესები ყალიბდება კოლექტიური რწმენის საფუძველზე, არის სოციალურად კონსტრუირებული და დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს.

ვფიქრობთ, რომ კონსტრუქტივისტული მიდგომა ძალიან კარგად ხსნის გასული წლის თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მომხდარ ცვლილებებს ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ პოლიტიკაში. მთავარი აქ ის არის, რომ შეიცვალა ამ ქვეყნების აღქმები და დამოკიდებულებები მიმდინარე პროცესების მიმართ. თუ ეს ქვეყნები მანამდე (თუნდაც ყირიმის ანექსიის შემდეგ) ვერ ხედავდნენ საჭიროებას ემოქმედათ რუსეთის შესაჩერებლად და ამ უკანასკნელის ნაბიჯებს თავიანთი უსაფრთხოებისათვის სერიოზული საფრთხის შემცველად არ აღიქვამდნენ, ახლა უკვე ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოზე (უკრაინაზე) პირდაპირი თავდასხმა ევროპის სხვა ქვეყნების მიერ აღქმულ იქნა უდიდეს საფრთხედ თავიანთი უსაფრთხოების ინტერესებისათვის. თუ ევროპის ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორცაა გერმანია მანამდე რუსეთთან ენერგო ურთიერთობების არათუ შემცირებაზე, არამედ მკვეთრად გაზრდაზე მუშაობდა, ახლა იგი ცალმხრივად აუქმებს ჩრდილოეთის ნაკად 2-ს და ბლოკავს გერმანიის გავლით ევროპის რუსული გაზით მომარაგების გაორმაგების პროექტს, რომელსაც მანამდე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

⁸ დანართი 6: ნავთობექსპორტიორი ქვეყნების წილი ევროკავშირის იმპორტში 2021 წლის ბოლოდან 2022 წლის ჩათვლით.

აყალიბებენ რა თავიანთ იდენტობას იმ რწმენაზე, რომ აქვთ უნარი დიდი გავლენა მოახდინონ გეოპოლიტიკური მონინაალმდგის სვლებზე, ევროკავშირის წევრები-სახელმწიფოები გამოდიან ეკონომიკური შეზღუდვების მრავალგვარი სპექტრით. მათ მიერ სანქციების 7 პაკეტის შემუშავება, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა დარგში რუსეთთან ვაჭრობის შემცირებას (მაგ. ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით) გულისხმობს, მიზნად ისახავს რუსეთის ეკონომიკურ დასუსტებას, მისთვის შემოსავლების შემცირების გზით. ევროპის ეს ნაბიჯები ემყარება მათ იდეოლოგიურ მიდგომებსა და ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, და ა.შ.; ამასთან ევროპული ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ისეთი ცნებების პატივისცემა, როგორებიცაა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობა. მათი თითოეული ნაბიჯი, მათ შორის, ზემოთ აღწერილი ეკონომიკური შეზღუდვები რუსეთის წინააღმდეგ ემსახურება მხოლოდ იმას, რომ ეს უკანასკნელი აიძულონ, თავადაც სცეს პატივი ამ ღირებულებებს. აქვე უნდა ვთქვათ იმ მორალური ჩარჩოს შესახებაც, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ევროკავშირის წევრები: მაშინ როცა ეს სახელმწიფოები ზღუდავენ რუსეთთან ვაჭრობას, რათა შეუმცირონ მას შემოსავლები, მათ აქვთ მორალური გათვლა, რომ არ დაათინანსონ ომი; სხვა სიტყვებით, არ გადაუხადონ ფული ქვეყანას, რომელიც ამ ფულს შემდგომში გამოიყენებს სუვერენული სახელმწიფოსა და მისი უდანაშაულო მოქალაქეებისადმი ომის სანარმოებლად. REPowerEU Plan-ით და სხვა მსგავსი ნაბიჯებით, რომლებიც ითვალისწინებს ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების სრულად აღმოფხვრას თანაც სწრაფ ტემპში, ევროპა რუსეთის მიმართ აგზავნის მკაფიო სიგნალს, რომ კრემლის ექსპანსიონისტური ზრახვები ყოველად მიუღებელია პროგრესული დასავლური ღირებულებების მქონე ევროკავშირისთვის და რომ მოსკოვი თავის ავანტიურისტულ ნაბიჯში სრულიად მართალია. ეს გვემა ასევე გამოხატავს, რომ ისინი აღარ ენდობიან რუსეთს და აღარ მისცემენ მას საშუალებას ენერგომომარაგების შეწყვეტის შანტაჟით, ევროპას ხელ-ფეხი შეუკრას მისი ჩადენილი უსამართლობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.


დასკვნა

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა ფაქტებმა და ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, თუ რაოდენ დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის წამოწყებამ ევროკავშირის ენერგეტიკულ პოლიტიკაზე. იმ ფაქტორმა, რომ მანამდე ევროკავშირისათვის გაზისა და ნავთობპროდუქტების უმსხვილესი მიმწოდებელი ქვეყანა რუსეთი იყო, ხოლო უკრაინა ამ ენერგორესურსების უმსხვილეს გამტარს წარმოადგენდა, განაპირობა მიმდინარე ომის ენერგეტიკული განზომილების მნიშვნელობის ზრდა. როგორც დავინახეთ, ევრობლოკმა 2022 წელს უკრაინაში პუტინის ომის დაწყების შემდეგ საბოლოოდ გაიაზრა, რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველია რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების გარემოსათვის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. ამიტომაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ინდივიდუალურ თუ საერთო დონეებზე აქტიურად იწყეს საკუთარი პრაქტიკის შეცვლა აგრესორი სახელმწიფოს მიმართ. მოსკოვისადმი დაწესებული მთელი

რიგი ეკონომიკური შეზღუდვები და სანქციები, ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის გაუქმება, სანავის იმპორტზე ემბარგოს შემოტანა და ა.შ., იყო ის ნაბიჯები, რომლებიც მათი მხრიდან გადაიდგა. ამ ნაბიჯების უკან კი უსაფრთხოების ინტერესებთან ერთად, რომელიც, პირველ რიგში, კრემლის მხრიდან ევროპის პოლიტიკური შანტაჟის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს, ასევე დგას მორალური ჩარჩო, ევროპის იდეოლოგიური ღირებულებები და ფასეულობებზე დაფუძნებული აღქმები. შეიძლება ითქვას, რომ მოტივთა სწორედ ამგვარი კომბინაცია უდევს საფუძვლად ენერგოდივერსიფიკაციის მიზნით ევროკავშირის მხრიდან სწრაფი ტემპით შემუშავებულ და თანმიმდევრულ სამოქმედო გეგმებს: „გაზის მოთხოვნის შემცირების ევროპული გეგმა“; „Save Gas for a Safe Winter“; „REPowerEU plan“ და სხვა. ამ თვალსაზრისით ევროპის მიერ განეულმა დიდმა პოლიტიკურმა ძალისხმევამ ღირებული შედეგები უკვე გამოიღო და მკვეთრად შემცირდა ევროპული ქვეყნების მიერ რუსული წიაღისეულის მოხმარების წილი. მართალია, გაზის ინდუსტრია ჯერ იდეგ რჩება ევრობლოკის ერთიან სანქციებს მიღმა, მაგრამ ამ სფეროში რუსეთისათვის და რუსული კომპანიებისათვის აკრძალვების დაწესებას ცალკეული ევროპული ქვეყნები უკვე წარმატებით ახერხებენ. გაზისაგან განსხვავებით, ბლოკის ერთიანი პოზიცია შენარჩუნებულია და სანქციებიც დაწესებულია რუსული ნავთობინდუსტრიისათვის. საბოლოო ჯამში კი, როგორც გაზის, ისე ნავთობპროდუქტების შემთხვევაში, ევროპის რუსეთზე დამოკიდებულების კლება აშკარად შესამჩნევია და მუშაობა ამ ენერგორესურების ალტერნატიული მომწოდებლებისაგან შესყიდვაზე კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. ამასთან ევროპა კლიმატნიეტრალურობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის კვალდაკვალ უფრო და უფრო ზრდის ენერგორესურების განახლებადი წყაროების გამოყენებასაც და ამით თავის ეკონომიკასაც უფრო ეფექტიანს ხდის.


დანართები:

დანართი 1: რუსეთისა და სხვა ქვეყნების წილი ევროკავშირის გაზის მთლიან იმპორტში 2022 წლის ომამდე




წყარო: eurostat

დანართი 2: რუსეთიდან იმპორტირებული ნავთობის წილი ევროკავშირის ნავთობის მთლიან იმპორტში 2010-2021 წლებში



წყარო: statista

დანართი 3: რუსული გაზის ევროპისაკენ გამტარი მარშრუტები და მათი გამტარუნარიანობა




წყარო: Gas Transmission System Operator of Ukraine

დანართი 4: სამხრეთის გაზის დერეფანი




წყარო: CEE Bankwatch Network

დანართი 5: ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელი ქვეყნების წილის ცვლილება გაზის მთლიან იმპორტში



წყარო: eurostat

დანართი 6: ნედლი ნავთობის იმპორტი ევროკავშირში მიმწოდებელი ქვეყნების მიხედვით 2021 წლის ბოლო-2022 წ.



წყარო: eurostat

ბიბლიოგრაფია:

- კომახია, მ. (2022) „რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა გლობალურ ენერგოპოლიტიკაზე“, უსაფრთხოების მიმოხილვა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-Mamuka-Komakhia--3284.pdf?fbclid=IwAR2_3a1pb-yGCDX6orh5i3nD8G1b9nGx21J5NV-QtK8FbhybG5voJg7Uf_s
- შატაკიშვილი, დ. (2022) „რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის ეკონომიკაზე“, ექსპერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/189-expert-opinion-geo.pdf>
- Cooban, A. (2023) US has replaced Russia as Europe’s top crude oil supplier, CNN Business. Retrieved at 15/05/2023 from: <https://edition.cnn.com/2023/03/28/energy/eu-us-oil-imports-overtake-russia/index.html>
- Conti, I & Kneebone, J (2022) *A first look at REPowerEU: The European Commission’s plan for energy independence from Russia*, Florence School of Regulation, European University Institute. <https://fsr.eui.eu/first-look-at-repowereu-eu-commission-plan-for-energy-independence-from-russia/>
- Cui, L., Yue, S., Nghiem, X-N., Duan, M., (2023) *Exploring the risk and economic vulnerability of global energy supply chain interruption in the context of Russo-Ukrainian war*, Resources Policy, Volume 81 <https://doi.org/10.1016/j.resourpol.2023.103373>
- David, R. (2022) EU Embargo on Russian Oil, Implications and Consequences, Energy Industry Review. <https://energyindustryreview.com/oil-gas/eu-embargo-on-russian-oil-implications-and-consequences/>
- European Commission (2022) Save Gas for a Safe Winter: Commission proposes gas demand reduction plan to prepare EU for supply cuts. Retrieved at 17/05/2023 from: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_4608
- European Commission (2023) REPowerEU. Retrieved at 17/05/2023 from: https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/european-green-deal/repowereu-affordable-secure-and-sustainable-energy-europe_en
- Harvey, F., & Rankin, J. (2020) What is the European Green Deal and will it really cost €1tn? The Guardian. Retrieved at 17/05/2023 from: <https://www.theguardian.com/world/2020/mar/09/what-is-the-european-green-deal-and-will-it-really-cost-1tn>
- Horowitz, J. (2022) The West just scrambled the oil market. What happens next is up to Russia, CNN Bisinness. <https://edition.cnn.com/2022/12/05/energy/russia-oil-embargo-price-cap-explainer/index.html>

- IEA (2022) How Europe can cut natural gas imports from Russia significantly within a year. <https://www.iea.org/news/how-europe-can-cut-natural-gas-imports-from-russia-significantly-within-a-year>
- Kuzemko, C., Blondeel, M., Dupont, C., Brisbois, C.M., (2022) *Russia's war on Ukraine, European energy policy responses & implications for sustainable transformations*, Energy Research & Social Science, Volume 93
<https://doi.org/10.1016/j.erss.2022.102842>
- Marsh, S., & Chambers, M. (2022) *Germany freezes Nord Stream 2 gas project as Ukraine crisis deepens*, Reuters. <https://www.reuters.com/business/energy/germanys-scholz-halts-nord-stream-2-certification-2022-02-22/>
- Meduza, (2023) The European Parliament is urging the EU to completely abandon liquefied natural gas from Russia. It seems that this is again not the best way to leave Putin without money for war. Retrieved December 31, 2023 from: <https://meduza.io/feature/2023/11/15/evroparlament-ubezhdaet-es-polnostyu-otkazatsya-ot-szhizhennogo-prirodnogo-gaza-iz-rossii-kazhetsya-eto-opyat-ne-luchshiy-sposob-ostavit-putina-bez-deneg-na-voynu>
- Misik, M., Nosko, A. (2022) Post-pandemic lessons for EU energy and climate policy after the Russian invasion of Ukraine: Introduction to a special issue on EU green recovery in the post-Covid-19 period, Energy Policy. Retrieved at 25/04/2023 from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC10025527/>
- Osička, J., & Černoch, F. (2022) European energy politics after Ukraine: The road ahead, Energy Research & Social Science, Volume 91. Retrieved at 25/04/2023, from: <https://doi.org/10.1016/j.erss.2022.102757>
- Ozawa, M. (2022). The Russia-Ukraine war and the European energy crisis. In T. Tardy (Ed.), War in Europe: preliminary lessons (pp. 41–52). NATO Defense College. <http://www.jstor.org/stable/resrep41406.9>
- Simeonova, E. (2023) The EU Is Much Less Dependent On Russian Gas But Still Isn't Ready To Give It Up. Retrieved December 31, 2023 from: <https://www.rferl.org/a/russia-natural-gas-european-union-dependence-ukraine-war/32754244.html>
- Surwillo, I., & Slakaityte, V. (2022). WITH ENERGY AT PLAY IN THE UKRAINE WAR, EVERYBODY PAYS. Danish Institute for International Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep40094>
- Zeniewski, P., Molnar, G. & Hugues, P. (2023) Europe's energy crisis: What factors drove the record fall in natural gas demand in 2022? International Energy Agency. Retrieved December 31, 2023 from: <https://www.iea.org/commentaries/europe-s-energy-crisis-what-factors-drove-the-record-fall-in-natural-gas-demand-in-2022>